№ 23
ხუთშაბათი,
24 სექტემბერი
1909 წ.

# მომავალი

№ 23
ხუთშაბათი,
24 სექტემბერი
1909 წ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მომავალი“

გამოდის ყოველ-დღე, გარდა კვირა-უქმის მეორე დღეებისა

**გაზეთი ღირს:** როგორც თფილისში ისე თფილისს გარეთ ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მანეთი. 1 **სექტემბრიდან წლის ბოლომდე** თფილისში 3 მან. თფილისს გარეთ 3 მან. 20 კ. **თვიურათ:** თფილისში 80 კ., თფილისს გარეთ 90 კაპ. ცალკე ნომერი—5 კაპ. ადრესის გამოცვლა ღირს 40 კაპ. (შეიძლება მარკებითაც)

გაზეთის გამოწერა შეიძლება **მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან**

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე ღირს 15 კ.; უკანასკნელზე—10 კ.; სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ საღამოს 5 ს-მდე 3 მან., ხუთი საათის შემდეგ—მეტი. ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება რედაქციის კანტორაში ყოველდღე, დილის 9 ს. საღამოს 2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე. კვირა-უქმეებში დილის 11—12 საათამდე.

რედაქცია ხელმოუწერელ წერილებს არ ბეჭდავს. **დაუბეჭდავ მცირე წერილებს არ ინახავს და მათ შესახებ არავითარ მიწერ-მოწერას და მოლაპარაკებას არ კისრულობს.**

**რედაქციის ადრესი:**
რუსის ქუჩა, სახლი № 3, ზემო სართულში.
**ფულის გამოსაგზავნი ადრესი:**
Тифлисъ, тип. „Сорапань“, Калистрату Конст. Цуладзе.

## ქართული თეატრი

წარმოდგენა № 1.

**სეზონის 19$\frac{09}{10}$ დასაწყისი.**

**კვირას, 27 სექტემბერს** ქართული დრამატიული საზოგადოების არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება ქ-ნ **ნ. კოლხიდელის** სადებიუტოთ და **შ. შარაშიძის** მონაწილეობით

### ს ა მ შ ო ბ ლ ო

ისტორიული პიესა 5 მოქ. და 6 სურ. დ. ერისთავისა.

ქეთევანის როლს შეასრულებს ქ-ნი **ნ. კოლხიდელი**

არდგენენ ქ-ნნი: ტასო აბაშიძე, ნ. კოლხიდელი, ვ. ჩერქეზიშვილი, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, ვ. გამყრელიძე, გ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ი. იმედაშვილ-ხაშმელი, მატარაძე, შ. საფაროვი, კ. შათირიშვილი, შ. შარაშიძე, ზარდალიშვილი.

ადგილების ფასი: ლოჟები 10 მ. 50—კ. 5 მ.-დე; პარტერი 2 მ. 50—კ. 60 კ.-მდე; გალერეია 40 კ —20 კ.-მდე; მოწაფეთათვის 40 კ.

**დასაწყისი სწორეთ საღამოს 8 საათზე.**

მზადდება წარმოსადგენათ „მედეია“, „უდანაშაულოთ დასჯილნი“, „ექიმი აშირბაჯიანი“.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

დრამატიული საზოგადოების ადმინისტრაცია.

## მმ. ზუბალაშვილების სახალხო სახლი

**შაბათს, 26 სექტემბერს** 1909 წელს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ სექციისაგან წარმოდგენილი იქნება:

### ცხოვრების გარეშე

პიესა 4 მოქმედებათ პროტოპოპოვისა.

წარმოდგენაში მონაწილეობას მიიღებს სექციასთან არსებული სცენის მოყვარეთა მთელი დასი.

**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**

ადგილების ფასი 5 კ. 50 კაპეიკამდე.

**ანონსი:** შემდეგი ქართული წარმოდგენა გაიმართება ორშაბათ საღამოს, 5 ოქტომბერს. მზადდება წარმოსადგენათ „შემოსავლიანი ადგილი“ ოსტროვსკისა, „პეპო“ სუნდუკიანცისა და სხ.

**დაბეჯითებით** ვსთხოვთ საზოგადოებას სხვის ადგილზე ნუ დასხდებიან. პატარა ბავშვების თეატრში შეშვება სრულიად აკრძალულია. წესიერების დაცვაში, იმედია, თვით საზოგადოება დაგვეხმარება.

რეჟისორი **შათირიშვილი.** ადმინისტრატორი **ხვიჩია.**

## აქციზის მომატების გამო

ყველა თამბაქოს ნაწარმოებზე

50 პროცენტით და 50-ზე მეტით

და თამბაქოს გაძვირების გამო

### ბოზარჯიანცის

ფაბრიკამ დევიზათ გაიხადა: როგორც წინათ, ეხლაც მაღალი ღირსების პაპიროსები გამოუშვას და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს.

СИМПАТІЯ № 8 — 10 шт. 6 к. НАРОДНЫЯ ЭКОНОМІЯ — 10 шт. 4 к.

ასეთი უმნიშვნელო ფასის მომატებით ფაბრიკის საშუალება ეძლევა გამოუშვას მუდამ **მაღალ ღირსების** პაპიროსები და მომავალში ეცდება მათ გაუმჯობესებას, რომ ამით გაამართლოს და გაამაგროს ფირმამ თავისი დამსახურებული **ნდობა** 50 წლის განმავლობაში ჩვენი ფაბრიკის პაპიროსების მყიდველთა თვალში.

**შენიშვნა:** ამ ცნობით (და არა რეკლამით) ბოზარჯიანცის ფაბრიკას სურს გააცნოს პატივცემულ საზოგადოებას საქმის ახალ, ნამდვილ მდგომარეობას.

**970 სტ. აქცზ. უსტ. ძალით, ზემოაღნიშნულ პაპიროსების მეტ ფასში გაყიდვა, რაც მათ აწერია აკრძალულია.** (10—4)

კბილის ექიმი

### ს. ყაუხჩიშვილი [?]

აბასთუმნიდან დაბრუნდა. ავათმყოფებს ღებულობს **ახალ ბინაზე** დილით: 9—2 საათ. საღამოს: 5—7 საათ. ვერის დაღმართი, სახლი № 15.

კბილის ექიმი

### ი. შ. ჭანტურია

იღებს ავათ-მყოფებს დილით 7—9 ს. საღამოთი 4—8 ს.

კვირა-უქმე დღეს 9—1 საათამდე. ავჭალის N. 71 (კიროჩნი ქუჩის ახლოს)

ნაფიცი ვექილი

### სერგეი დ. ჯაფარიძე

ქუთაისიდან გადავიდა თფილისში

ბროსეს ქუჩა, ახვერდოვის სახლი № 11. (სასტუმრო „ლონდონის“ ახლოს)

გაიხსნა ახალი

თფილისის

### კერძო სამკურნალო

ღიაა ყოველდღე მოსიარულე ავათმყოფთათვის. ვაგზლის ქ., № 8; ს. ენფიანჯიანცისა (ტელეფონი 695).

**ექ. ი. ზ. ფედოროვი:** ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 11—12 საათამდე შინაგანი და ბავშვებისა.

**ექ. ვ. დამბაშიძე:** ყოველ დღე, კვირა დღის გარდა 12—1 ს. შინაგ. და ბავშვ. ავათმყ. შეაჩერა მიღება 1-ლ სექტემბრამდე.

**ექ. ზ. ა. პოპოვი:** ყოველ დღე ხუთშაბათს გარდა კვირსა 12—1 ს.; ყელის, ცხვირის და ყურის ავათმყ.

**ექ. ზ. მ. მაკაროვი:** შეაჩერა მიღება 1 სექტემბრამდე.

**ექ. ა. ნ. დიხხაშიძე:** ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$ ს.; სიფილ., ვენ. და კანის ავათმყ.

**ექ. ნ. მ. მელიქიშვილი:** ყოველ დღე; 1—2 ს.; დედათა და ქირურგ. ავათმყ.

**ექ. ი. გომართელი:** ყოველ დღე, 2—3 ს.; შინაგან და ბავშვ. ავათმყ.

**ექ. ვ. ს. მუსხელიშვილი:** ყოველ დღე, კვირა დღ. გარდა 2—$2^1/_1$ ს.; თვალის ავათმყ.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძათ გასინჯვა.

ფასები რჩევისათვის 50 კაპ., ოპერაციები და კონსულტაცია მორიგეობით.

ამ მოკლე ხანში გაიხსნება სტაციონალური აგნყოფილება 30 საწოლით. 100—66

## თფილისი, 24 სექტემბერი.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს, რომ სოფელი და მისი მკვიდრნი წარმოუდგენელს, ენით გამოუთქმელ გაჭირვებას განიცდიან. ისინი იყვნენ, არიან და კიდევ დიდხანს იქნებიან ადგილობრივი ადმინისტრაციის დაბალი მოხელეების თვით-ნებობის ქვეშ. რუსეთში „კონსტიტუციის“ გამოცხადებამდის, მართალია, იყო ასეთი მოხელეების თვითნებობა, მექრთამეობა, ხალხის ყოველგვარი თვითმოქმედების შევიწროება, მაგრამ ახლა ყველა ამას ემატება ხალხის ცემა-ტყეპა, დარბევა-აწიოკება ყოვლად განუკითხავათ და შეუბრალებლათ. ისე დღე არ გავა, რომ რომელიმე სოფლიდან ამბავი არ მოვიდეს: ბოქაულმა მათრახებით გაალახვინა ესა და ეს კაცი „სტრაჟნიკებს“, მეორე ალაგას გაალახვინა და ხანჯლით დააჭრევინა, მესამე ალაგას ერთი და ორი კი არა, რამდენიმე კაცი იქნა გალახული და დაჭრილი. ყოველივე ეს ისეთ ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა ამ ბოლო დროს, ისეთ ხშირ ამბათ გახდა, რომ ყველას ყური შეეჩვია და არავინ თავს აღარ იტკივებს. ალბათ, ამით აიხსნება, რომ ადგილობრივი რუსული გაზეთები ამ ამბავს არავითარ ყურადღებას არ აქცევენ, უბრალოთ ამბავათაც არ აღნიშნავენ თავიანთ ფურცლებზე, იმ გაზეთებიდანაც არ გადმობეჭდავენ, სადაც ასეთ ამბების შესახებ თითქმის ყოველდღე შეხვდებით ცნობებს. რომელ პროგრესიულ გაზეთს, რომელ, სულ ცოტათი რიგიან ადამიანს არ შეაშფოთებს კორესპოდენცია სოფ. ახალდაბიდან (ქართლი), რომელიც ჩვენი გაზეთის გუშინწინდელ ნომერში (№ 21) იყო დაბეჭდილი. კითხულობ და არა გჯერა ყოველივე ის, რაც იქ სწერია. აბა ყური დაუგდეთ: „ამას წინათ აქ დაიკარგა ყაჩაღი ცერცვაძე... ამის გამო 8 სექტემბერს აქ მოვიდა მაზრის უფროსის თანაშემწე და ბოქაული. შეყარეს ხალხი და გარეკეს ტყეში ცერცვაძის საძებრათ. ორი დღის უნაყოფო ძებნის შემდეგ დაქანცული ხალხი დაბრუნდა სოფელში. ღამის ორ საათზე სოფელში ატყდა საშინელი წივილ-კივილი. „სტრაჟნიკები“ დაერიენ სოფელს და მძინარე ხალხი ლოგინიდან წამოაყენეს და ისევ ტყისაკენ გარეკეს. „ურიადნიკმა“ საჯაროთ გამოუცხადა ხალხს: „ყველას თავებს დაგჭრით, თქვენ ცოლებს და ქალებს „სტრაჟნიკებს“ მივუგდებ და სხვა. ს. ნეძვის მცხოვრებთა უმეტესობა აიყარა და სხვა სოფელს შეაფარა თავი. ზოგი ისეა ნაცემი, რომ სიკვდილის პირზეა. სისო ჩადუნელს, 60 წლის მოხუცს, რადგან სიარული ვერ შესძლო, ძალზე ცემეს, იასონ გოგოლაძეს თავზე ქოჩორი შეამჩნიეს და ხანჯლით მოსჭრეს... ძალზე სცემეს აგრეთვე სარაფა ჩადუნელს, ვასილ ლომიძეს, ალექსი ფატარიძეს, სიმონ ჩადუნელს და სხვებს“... ჩვენ განზრახ მოვიყვანეთ თითქმის მთელი წერილი, მოვიყვანეთ იმიტომ, რომ ერთხელ კიდევ მიაქციოს მკითხველმა ყურადღება რა რიგათ ტანჯავენ ხალხს ისინი, ვინც ვალდებულია ხალხის მოსამსახურე იყოს, მისი კეთილდღეობისთვის ზრუნავდეს, მის მოთხოვნილებას აკმაყოფილებდეს, რადგანაც ისინი დაქირავებულნი არიან, სწორეთ ამ ხალხისგან გაღებული ფულით. ეტყობა, მათ კარკათ შეუგნიათ თავიანთი მოვალეობა, თავიანთი სამსახური ხალხისადმი, როცა ჯოგივით მთელ სოფლებს მიერეკებიან ტყისაკენ ვიღაც გადავარდნილი ყაჩაღის საძებრათ; არ აკმარებენ ორი დღისა და ღამის მშიერ-მწყურვალი ტყეში თრევას და წოწიალს. კიდევ ყრიან ხელმეორეთ, კიდევ მირეკავენ მათრახებით ქალიან-კაციანა და კიდევ უნაყოფოთ. ყველას უფლება აქვს იკითხოს: ვინ მიანიჭა მათ ამგვარი უფლება, ვინ მისცა მათ ხალხის დარბევის უფლება, ვინ მისცა ცემა-ტყეპის და ხანჯლით დაჭრის ნება? რას ნიშნავს ეს? განა ახლაც „კრამოლაა“? განა ახლაც მოძრაობაა? შეიძლება ვისმეს ყაჩაღი ცერცვაძე „კრამოლნიკათ“ მოელანდა და მისი დაჭერის სურვილმა ყველაფერი დაავიწყა ადმინისტრაციის წარმომადგენლებს? ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველივე ის, რაც მოხდა ს. ახალდაბაში, კორესპონდენციაში სავსებით მოხსენებული არ უნდა იყოს, „სტრაჟნიკების“ გამხეცება ალბათ ყოველ საზღვარს გადასცდა, სხვაფრივ წარმოუდგენელია ერთი სოფლის აყრა და მეორეში გადასახლება დროებით თავის შესაფარებლათ. ასეთი ამბები აღა მაჰმად ხანის შემოსევის დროს თუ იქნებოდა! ეს ამბავი იმდენათ შემაძრწუნებელია, რომ მისი მიყრუება ყოვლათ შეუძლებელია, მისი უყურადღებოთ დატოვება ყველას დიდ დანაშაულობათ უნდა ჩაეთვალოს, საჭიროა სასტიკი გამოძიება.

## კიდევ ვისი ბრალია?

(გაგრძელება)

1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტის შემდეგ კავკასიის ნამესტნიკს ბარიათინსკის დაევალა ამიერ-კავკასიის გლეხთა განთავისუფლების საქმეს შესდგომოდა. იმავ 1861 წელს მთავრობამ წინადადება მისცა თფილისის და ქუთაისის თავად-აზნაურობას გამოეთქვა თავისი მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა პირობებში უნდა მომხდარიყო ბატონ ყმობის მოსპობა ამ ორ გუბერნიაში.

თავად-აზნაურობამ საზოგადოთ შემდეგი აზრი გამოსთქვა:

თანახმათ ვახტანგის კანონისა ყმა ეკუთვნის მებატონეს მთლათ; გარდა „სულისა“ ის შეადგენს მებატონის კუთვნილებას, ამიტომაც გლეხს არავითარ ქონებაზე უფლება არ აქვს.

მიუხედავათ ამისა თავად-აზნაურობა შესაძლებლათ სცნობდა გლეხებს საკუთრებათ დასთმობოდათ მოძრავი ქონება იმ პირობით, რომ მათ გადაეხადათ მეოთხედი ამ ქონების ღირებულების.

თავად-აზნაურობა უარს არ ყოფდა, რომ ბატონ-ყმობის დროს გლეხებს შეძენილი ქონდათ თავის ხარჯით მიწები, მაგრამ მაინც უარს ყოფდა, რომ ეს მიწები გლეხების საკუთრებათ დარჩენილიყო.

რამდენი მიწა უნდა დაეტოვებია მებატონეს გლეხის ხელში? წვრილი მემამულე მებატონეები სრულიად თავისუფალი უნდა ყოფილიყვნენ ამ შემთხვევაში: მათ ერთი ხელის დადება მიწაც არ უნდა დაეტოვებიათ გლეხებისათვის, ასე რომ, აქ გლეხებს უნდა ჩამორთმეოდა სამოსახლო ადგილებიც კი. მსხვილ მემამულეებს გლეხებისთვის უნდა მიეცათ სახნავ-სათესი მიწების და სათიბის ნახევარი. ცოტა იქნებოდა ეს ვალდებული გლეხისთვის თუ ბევრი, ეს ბატონს არ შეეხებოდა.

ამ რიგათ, გლეხებს ხელიდან უნდა გამოცლოდა არა მარტო კეთილ-შენაძენი, არამედ „სანადელო“ მიწების უდიდესი ნაწილიც. აი რა სამართალს ადგა თავად-აზნაურობა.

მიწის მოსავლიდან მებატონეს უნდა მირთმეოდა გლეხებისაგან მესამედი—ნახევარი.

საბალახოსთვის მებატონეები მოითხოვდენ განსაკუთრებულ გადასახადს. უსასყიდლოთ ვერ უნდა ესარგებლნა ვალდებულ გლეხს აგრეთვე ტყით.

გარდა ამისა მებატონეები ამბობდენ: ჩვენი კეთილდღეობა დამყარებულია არა მიწების გადასახადებზე, არამედ იმ სხვადასხვა მოვალეობებზე, რომელნიც გამომდინარეობენ გლეხის მებატონისგან პირადი დამოკიდებულებისაგან. აი ეს წყარო დაუშრება მებატონეებს ბატონყმობის მოსპობის გამოო, ამტკიცებდა თავად-აზნაურობა.

ამიტომაცო, განაგრძობდა ბრწყინვალე წოდება, თუ მთავრობა ასეთ დანაკლისს ვერ აღუდგენს მებატონეებს, მაშინ ესენი, ესე იგი, მებატონეები, ბატონყმობის მოსპობისთანავე მძიმე ტვირთათ გაუხდება იმავ მთავრობასო.

აბა რა საფიქრებელია, რომ მთავრობა წინააღმდეგი გაუხდება მებატონეების ასეთ მოთხოვნებს. არავითარი არსებითი ცვლილება გლეხების სასარგებლოთ მთავრობას არ შეუტანია მებატონეების განუსაზღვრელ ზემომოყვანილ მოთხოვნილებებში.

რამდენათ შემავიწროებელი და სულის აღმომხდელი იყო გლეხების ვითომდა განთავისუფლების პირობები, ამას ცხადათ ამოწმებს ისეთი პირი, რომელიც გლეხკაცების მეგობრათ, რასაკვირველია, არ ჩაითვლება.

უქვეშევრდომილეს მოხსენებაში (1 ივლისი, 1865 წ.) მაშინდელი ნამესტნიკი მიხეილ ნიკოლოზის ძე გადაჭრით ამბობს, რომ გლეხების გადასახადი ბატონ-ყმობის გაუქმებამდი არ იყო ისეთი აუტანელი, როგორც შემდეგ. ბატონყმობის დროსო,—ამბობს ნამესტნიკი,— ეს გადასახადი უდრიდა მოსავლის ერთ მეხუთედს, ერთ მეათედს და ხან მხოლოდ ერთ მეოცედს.

ასე რომ, განთავისუფლების დროს გლეხს არამც თუ გაუორკეცეს, გაუსამკეცეს კიდეც შესაწირავი, რომელიც მათ ყოველწლივ მიქონდათ ბატონების კეთილდღეობის სამსხვერპლოზე.

რასაკვირველია, მთავრობის გულშემატკივრობა და მოწყალება ამითი არ გათავებულა. მებატონეები რომ დიდათ გულნატკენი არ დარჩენილიყვნენ, საჭირო იყო ანაზღვეულება იმ დანაკლისის, რომელსაც განიცდიდენ მებატონეები. თუ ისინი ხელს იღებდენ იმ საუნჯეზე, რომელსაც შეადგენდა გლეხების პირადი დამოკიდებულება მებატონისადმი. ამიტომაც მთავრობამ მიუძღვნა მებატონეებს თითოეული გათავისუფლებული გლეხის „სული“ ფასათ 25—50 მანეთათ. ამ რიგათ თფილისის გუბერნიაში მებატონეებმა ჩაიჯიბეს ორი მილიონი მანეთი, ქუთაისისაში 5,227,296 მ., სულ 7,227,296 მან.

ასეთ საფუძველზე დაამყარეს თანხმობით და სიამტკბილობით მებატონეებმა და მთავრობამ გლეხების განთავისუფლების პროექტი. ეს პროექტი დამტკიცდა და კანონათ იქცა თფილისის გუბერნიისთვის 1864 წლის 13 ოქტომბერს, ქუთაისის, შორაპნის, რაჭის და ოზურგეთის მაზრებისთვის—1865 წლის 13 ოქტომბერს, ლეჩხუმის, სენაკის და ზუგდიდის მაზრებისთვის 1866 წლის 1 დეკემბერს.

მე და ჩემმა მაზლმა გადავწყვიტეთ ჩემ მაზლს არაფერი ვარგოთო, იტყვიან ჩვენში, სწორეთ ასე მოიქცა გულკეთი-

ლი მთავრობა და სამშობლოს მოყვარული მებატონეები: მილიონი მშრომელი ხალხის საქმე ისე გადაწყვიტეს, რომ არც ავი და არც კარგი ამ ხალხს არ კითხეს.

რა შედეგი უნდა მოყოლოდა ორი ბატონის გადაწყვეტილ საქმეს გლეხებისთვის, ეს ხომ თავის-თავათ ცხადია და ბევრი განმარტება არ ეჭირვება, მაგრამ მაინც მოვიყვან აქ რამდენიმე ცნობას.

ქუთაისის გუბერნიაში მებატონეების სრულ საკუთრებათ დარჩა 805,000 დესიატინა მიწა, ხოლო 73,000 კომლს ანუ 300,000 სულს თავდახსნილ და თავდაუხსნელ გლეხს დარჩა დროებით სავალდებულო დამოკიდებულების პირობით 207,500 დესიატინა მიწა, ესე იგი სულზე (მამაკაცზე) 0,6—0,7 დესიატინა (დღიურზე ცოტა მეტი); თფილისის გუბერნიაში მებატონეებმა მიისაკუთრეს 961,500 დესიატინა, 14,260 კომლს ანუ 57,600 სულს (მამაკაცს) გლეხს ხვდა 55,200 დესიატინა, ესე იგი 0,9—1,7 დესიატინა სულზე. ამ მიწებს მებატონეები აძლევენ სამუშაოთ იმავე ვალდებულ გლეხებს; წლიური შემოსავალი ასეთი მიწებიდან ორივე გუბერნიაში უდრის 2,000,000 მანეთს. გარდა ამისა, იმავე გუბერნიებში მებატონეებს წლიურათ აძლევენ 2,000,000 მან., როგორც დროებით ვალდებულნი; მიუმატეთ ამას 7,000,000 მანეთი, რომელიც ქუთაისის გუბერნიის გლეხებმა მისცეს მებატონეებს 144,000 დესიატინა მიწის გამოსასყიდათ და 1,000,000 მანეთი თფილისის გუბერნიის გლეხებმა აქაურ მებატონეებს 16,500 დესიატინაში. შეაერთეთ ეს გადასახადები და თქვენ წარმოიდგენთ მთავრობის მზრუნველობას და მებატონეების სიყვარულს ჩვენებურ გლეხებისადმი.

საერთოთ სულ 43 წლის განმავლობაში თფილისის და ქუთაისის გუბერნიის მებატონეებმა მიიღეს: ა) 4,000,000 ×43=170,000,000 მანეთი. ეს შემოსავალი მისცა მებატონეებს შრომამ, რომელსაც ეწეოდა გლეხი ერთი მხრით მებატონისაგან სამუშაოთ აღებულ მიწაზე და მეორე მხრით იმ მიწაზე, რომლებიც დასტოვეს ვალდებული გლეხების ხელში; ბ) 7,227,000 მანეთი, რომელიც მებატონეებმა მიიღეს ნაცვლათ გლეხების „სულისა“ თუმცა ეს სული მეფე ვახტანგის კანონითაც კი არ ეკუთვნოდა ბატონს; გ) 800,000 მანეთი; ეს ფული გაიღეს გლეხებმა მიწების შესყიდვისათვის. სულ 170,000,000 მ.+7,227,000 მან. +8,000,000 მან.=192,227,000 მან.

ასეთია მკრთალი სურათი ჩვენებური გლეხების განთავისუფლებისა; ასეთ პირობებში მოხდა და გაგრძელდა ასრე წოდებული „დიდი რეფორმა“ საქართველოში.

დიმიტრი ყიფიანი თავის მოხსენებაში ასე ახასიათებს ამ რეფორმის მნიშვნელობას.

„წარსული წლის პირველ მაისს, როცა ჩვენი კრება ის იყო იშლებოდა, ზოგიერთები კითხვას იძლეოდენ: რა იყო, რა გქენით, რა გამოვა აქედან? მომხსენებელი ვარ, მართალია, მაგრამ ნუ გავიკიცხები თუ პირუთვნელ სიტყვას ვიტყვი არა მარტო თქვენს წინაშე, არამედ მთელი ქვეყნის წინაშეც, თუ შემთხვევა მოიტანს.

რა იყო? მაშინ იყო თათბირი ისეთ საქმეზე, რომლის უმნიშვნელოვანესი არამც თუ ჩვენ მხარეში არ ყოფილა რაც ჩვენ გვახსოვს, არამედ წინაპართა თქმულებაშიაც არავის გაუგონია მსგავსი რამ.

„რა გავაკეთეთ? გავაკეთეთ ის, რაც შეფერის საქართველოს უპირველეს შვილთ, რომლებსაც დაუმკვიდრებიათ გმირთა დროის ქველობა და რომელნიც აღგზნებულნი არიან მეომარ რაინდთა გრძნობებით: ღმერთ ქვეშ, უშიშრათ და აუჩქარებლათ შევხედეთ საქმეს, რომელიც არაფერს გარდა უბედურებისა არ გვიქადდა არც ჩვენ და არც ჩვენ შთამოებას.

1) რა გამოვიდა აქედან? აქედან ის გამოვიდა, რომ ვერც ერთი ქართველი მებატონე, რომელიც დაესწრო 30 აპრილის საერთო კრებას, ვერ გაიტაცა დროებითმა რისხვამ ანუ უკმაყოფილებამ, ვერც ეგოიზმმა ან ლტოლვილებამ პირადი ინტერესებისადმი, ვერც შიშმა უცნობი მომავლისამ, ვერც, ვიტყვი ამასაც, ჩვენმა უცოდინარობამ და გაუნათლებლობამ; და როდესაც განვიხილეთ ყველამ ერთათ საქმე, ვითარცა სამმა ურთიერთ მოყვარულმა ძმებმა, ერთხმათ ვსთქვით: მივსცეთ თავისუფლება ჩვენ გლეხებს. აბა გითხრას რომელიმე მსწავლულმა და მეცნიერმა, რომელ განათლებულ ქვეყანაში გადაწყვეტილა ასეთი საქმე მეტის სიმშვიდით და მეტის ღირსებით. მერე რა საქმე. აბა ახლოს დახედეთ ამ საქმეს!!! *)

კ. ჩხეიძე.

(შემდეგი იქნება)

*) Историческая записка С. Эсадзе, გვ. 311

# რუსეთის პრესა

—

ბურჟუაზიული იდეოლოგები, თუ მათი პრესა წარა-მარა აყვედრიან სოციალ-დემოკრატებს: რეფორმას წაგლიჯოთ, მზათ ხართ, ხოლო ისეთი პირობების შესაქმნელათ კი, რომელშიაც შესაძლებელი გახდება ამ რეფორმების განხორციელება თავს არ იცხელებთ, ხელსაც არ ანძრევთო. და ეს მაშინ, როცა სწორეთ რომ სოციალდემოკრატია ყველა პარტიებზე მეტს მუშაობს ამ მხრით. გაზეთი „ნოვი დენ“-ში ამ კითხვას ეხება ი. გ. და სხვათა შორის სწერს:

„სოციალდემოკრატია ვერას დროს ვერ დაისახავს მთელი თავის ტაქტიკის მიზნათ ცალ-ცალკე, წვრილი რეფორმების მოპოებას. ამ მხრით, თუ გნებავთ, მართალი არიან ჩვენი მოწინააღმდეგენი. მაგრამ ამაში ბრალის დადება უდრის იმას, რომ სოციალდემოკრატიას ვუსაყვედუროთ ის, რომ ის... სოციალდემოკრატიაა. სოციალდემოკრატიის ძირითადი ტაქტიკური დებულება—ეს მშრომელთა კლასის ძირითადი, როგორც უახლოესი, ისე საბოლოო მიზნის დაცვაა. და ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ სოციალდემოკრატია მიზნათ ისახავს მშრომელთა მასის სრულს განთავისუფლებას. მხოლოდ თავის საერთო ძირითადი ინტერესების დაცვით შეუძლია მუშათა კლასს თავისი კერძო მდგომარეობის გაუმჯობესობა თანამედროვე საზოგადოების მყვლეფელთა ორგანიზაციაში. კიდევ მეტი. თვითეული ახალი რეფორმა შესაძლებელია მხოლოთ იმდენათ, რამდენათაც ყველა წინათ მოპოებული რეფორმებით სარგებლობს მუშათა კლასი პირველ ყოვლისა როგორც ფეხის მოსამაგრებელ, დასაყრდნობ, საერთო მიზნისთვის ბრძოლის გასაგრძელებლათ. სოციალდემოკრატია ამტკიცებს, რომ რეფორმები თავის-თავათ არას შემთხვევაში არ შეიძლება მუშათა კლასის მიზნათ გახდეს; და ეს იმიტომ, რომ რეფორმების საშვალებით არ შეიძლება გადაიჭრას ის სასტიკი წინააღმდეგობანი, რომლითაც ასე სავსეა თანამედროვე საზოგადოება.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი მაგალითი, რომ გაბატონებულ კლასებს სრულიად ნებაყოფლობით დაეთმოს მუშათა კლასისთვის თვალ-საჩინო რამ. მშრომელთა მასის დეზორგანიზაციის და უმოქმედობის ხანაში არ მომხდარა არც ერთი ისეთი რეფორმა, რომელსაც რაიმე ღირებულება ქონდეს დემოკრატიისათვის.

მესამე დუმის ვითომდა რეფორმატიული სულისკვეთება კადეტების აზრით, იმით აიხსნება, რომ კადეტები თავის კულუარის კომბინაციებით ერეკებიან დუმას რეფორმის გზაზე. ასეთი შეხედულობა მხოლოდ სიცილს იწვევს. დუმის რეფორმატიული სულის კვეთება პირდაპირი შედეგია იმ თვითმოქმედების, რომელიც ახლო წარსულში გამოიჩინა მშრომელთა კლასებმა.

ამოშალეთ დუმის მახსოვრობიდან გასული წლების უმეტესობა, უზრუნველყავით და დაარწმუნეთ ის, რომ მშრომელთა კლასებმა დიდი ხნით ღრმა ძილით დაიძინეს და თქვენ ნახავთ, რომ მაშინ მესამე დუმა არც ერთ რეფორმას არ გაიყვანს.

მაშასადამე, სოციალდემოკრატიის წმინდა კრიტიკული, სისტემატიურათ ოპოზიციონური ტაქტიკა აიხსნება არა მარტო მით, რომ თანამედროვე საზოგადოების რეფორმებს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ის. ასეთ ტაქტიკას სოციალდემოკრატია აწარმოებს კიდევ იმიტომ, რომ მხოლოდ ასეთი გზით შეიძლება რაიმეს წაგლეჯა ხალხისთვის. მთელი ისტორია საერთაშორისო სოციალდემოკრატიის ამის ცოცხალი საბუთია. გამონაკლს არც რუსეთი შეადგენს. სოციალდემოკრატიის ძირითადი დანიშნულებაც იმაში მდგომარეობს, რომ აუხსნას და დაარწმუნოს ხალხი მესამე დუმის „რეფორმების“ სრულს უვარგისობაში; შეაგნებინოს მასსას თავას უმახლობლესი და საბოლოო მიზნის დაცვა, ხოლო სხვა ყოველივე ამას დაუმორჩილოს.

მხოლოდ ამ გზით შეიძლება შეკავშირება პროლეტარიატის, მშრომელთა კლასების და მათ შორის თვითმოქმედების განვითარება.

ნათელი და გარკვეული წარმოსადგენია მშრომელთა კლასების მიერ თავისი ძირითადი მიზნის და მშრომელთა კლასების მჭიდრო შეკავშირება ამ მიზნის განსახორციელებლათ. აი რა არის პირველ ყოვლისა საჭირო“.

**ამ დღეებში ჩვენს გაზეთში დაიბეჭდება ბარის ვესოლოვსკის წერილები კავკასიაში ერობის შემოღებისა საკითხის შესახებ.**

# დეპეშები

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

23 სექტემბერი.

## ოსმალეთი

**სტამბოლი.** საგანგებო დესპანები, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ საგარეო საქმეთა მინისტრი რიფაატ-ფაშა, კორპუსის კამანდირი ნაზიმ-ფაშა, საგარეო საქმეთა მინისტრის კანცელიარიის გამგე და აგრეთვე კორპუსის კამანდირის ადიუტანტი, იახტა „სტამბული“-თ ლივადიისკენ გაემგზავრენ. დესპანებს თან ახლავთ ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტის ზოგიერთი წევრები.

## საზღვარ-გარეთ

**ბუდაპეშტი.** დამოუკიდებლობის პარტიის კონფერენციაზე პარტიის ბელადმა კოშუტმა გააცნო კონფერენციას აუდიენციის შედეგი. კოშუტის სიტყვით, თუმცა მან ვერ შესძლო (დაერწმუნებია?) მათი უდიდებულესობა დამოუკიდებლობის პარტიის თვალსაზრისის სისწორეში, მაგრამ მოლაპარაკება ჯერ არ შეწყვეტილა. კონფერენციამ დაადგინა შესწყვიტონ მოლაპარაკება დეპუტატთა პალატის მოქმედების შესახებ. კრიზისის შესახებ საკითხს ჯერ არ განიხილავენ. კოალიციის დაშლის გამო თავიანთ თანამდებობაზე უარი სთქვეს დეპუტატთა პალატის ორმა ვიცე-პრეზიდენტმა, რომელთაგან ერთი კონსტიტუციონურ პარტიის წევრია და მეორე—სახალხო. დეპუტატთა პალატა ერთ ახლობელ სხდომაზე დამოუკიდებლობის პარტიიდან აირჩევს ერთ ვიცე-პრეზიდენტს, ხოლო უმცირესობას ერთ ვიცე-პრეზიდენტის ადგილს უთმობს.

**კოპენჰაგენი.** მეფემ მიიღო ორი დეპუტაცია, წარჩინებულ მამაკაცთა და დედაკაცთაგან შემდგარი. დეპუტაციამ ადრესი მიართვა მეფეს, რომლითაც იმედოვნებენ, რომ სახელმწიფო სასამართლო შეუდგება ყოფილ იუსტიციის მინისტრ ალბერტის საქმის გამოძიებას, თან მწუხარებით აღნიშნავენ სახელმწიფოს დაცვის მინისტრის ... მთავრობაში მიღებაზე. მეფემ მწუხარებით აღნიშნა, რომ მას კონსტიტუციონური მოსაზრებით არ შეუძლია ყურადღება მიაქციოს მათ განცხადებას.

**ზაგრები.** სამოსამართლო პალატამ გამოაცხადა განაჩენი სახელმწიფოს ღალატის საქმის შესახებ. ადამ და ვალერიან პრიბიჩევიჩის მიესაჯა თორმეტი წლის კატორღა, დანარჩენებს 4—7 წლამდე ციხე, თვრამეტი გაამართლეს. განაჩენის კითხვას ოთხს საათს მოუნდენ.

**ზაგრები.** სახელმწიფო ღალატისთვის დასასჯელებმა სააპელიაციო საჩივარი შეიტანეს, პროკურორმა პროტესტი განაცხადა.

**ბუდაპეშტი.** ზაგრების საქმის განაჩენში აღნიშნულია: გამოირკვა, რომ წერილობით და ზეპირ-აგიტაციით და სხვადასხვა საზოგადოების დაარსებით ისინი ცდილობდენ ხორვატიის, ბოსნიის და ჰერცოგოვინის სერბიის სახელმწიფოდან ჩამოშორებას. ამ მიზნის განსახორციელებლათ დამნაშავეებმა კავშირი დაიჭირეს სამხრეთ-სლოვენთა რევოლიუციონურ ორგანიზაციასთან. ბელგრადში ავრცელებდენ მეფე პეტრეს სურათს და აცნობდენ მას ხალხს როგორც სამხრეთ-სლოვენთა მიწების კანონიერ მონარქს. შემდეგ ნათქვამია, რომ სასამართლომ შეუმსუბუქა მათ სასჯელი, ასეთ დანაშაულობისთვის პრიბიჩევიჩები უნდა ჩამოეხრჩოთ და დანარჩენები 10—20 წ. სატუსაღოში უნდა დაემწყვდიათ. განაჩენში ნათქვამია აგრეთვე, რომ სერბიის დამოუკიდებელი პარტია მონაწილეობას იღებდა შეთქმულობის აღმოჩენაში.

**პარიზი.** დაიწყო გემთა შესაკეთებელ ნავთ სადგურის მუშათა გაფიცვა გავრში და ბორდოში.

**კოპენჰაგენი.** ფინანსთა მინისტრმა ფოლკსტინგში შეიტანა 1910—1911 წლის ბიუჯეტი. დეფიციტი 20,581,841 კრონს უდრის. სამხედრო სამინისტროს ხარჯები გასულ წლებთან შედარებით 13 ნახევარ მილიონ კრონით მეტია.

**ამსტერდამი.** გელდერ-ლანდის პროვინციაში ხოლერით მოკვდა ერთი. სამი საეჭვოთ არის ავათ.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** არჩევნები. სახელმწიფო დუმის წევრათ პეტერბურგში ქალაქის მეორე კურიაში კოლიუბაკინის ნაცვლათ არჩეულ იქნა კუტლერი—კადეტი, მეორე დუმის ყოფილი დეპუტატი. მიილო—

# „წითელი კვირა“ გერმანიაში.

**პარტეიტაგის საქმიანობის პირველი დღე. ორშაბათი, 12 სექტემბერი.**

(საკუთარი კორესპონდენტისაგან).

(გაგრძელება *).

გერმანიის სოციალდემოკრატია მუდმივ პოლიტიკურ ბრძოლაშია· ხან რეიხსტაგის არჩევნებია, ხან ადგილობრივი პარლამენტების—ლანდტაგების; ის დამთავრდა და სოფლისა და ქალაქის თვითმართველობათ დაპყრობას ცდილობენ. იქ რეიხსტაგი მშრომელ ხალხს ახალ არაპირდაპირ გადასახადებს ახვევს თავზე, აქ ლანდტაგი ისედაც მცირე საარჩევნო უფლებას კიდევ უფრო ჰკვეცავს და მუშათა კლასს თავისი წრიდან მიერეკება. მოკლეთ, აქ საერთო ან ადგილობრივი სოციალურ-პოლიტიკური შეჯახება სწარმოებს და სოციალდემოკრატიაც მას ანგარიშს უწევს და ასე სხვა და სხვა გზითა და საშუალებით მშრომელთა არმიას აკავშირებს „ერთი რეაქციონური“—ბურჟუაზიული მასსის წინააღმდეგ.

საანგარიშო წელს ღირსშესანიშნავი ბრძოლა რეიხსტაგის გარშემო წარმოებს. იქ „ლიბერალური“ ან როგორც სხვანაირათ ამბობენ, „ჰოტენტოტური“ ბლოკი დაეცა და „არყის ბლოკმა“ ხალხს ახლი 500 მილიონი მარკა დააკისრა. პარტიის გამგეობა რეიხსტაგის ფრაქციასთან ერთათ ხალხის ამხედრებას ცდილობდა და ადგილობრივ ორგანიზაციებს საპროტესტო კრებათა მოსახდენათ მოუწოდებდა.

ლანდტაგების გარშემო დიდი ხანია საარჩევნო ბრძოლა წარმოებს. გასულ წელს ამ მხრივ ყველაზე მეტი ყურადღება პრუსიამ და საქსონიამ მიიპყრო. აქაც და იქაც საპროტესტო კრებები და დემონსტრაციები მოაწყვეს და საყოველთაო, თანასწორ, ფარულ და პირდაპირ საარჩევნო უფლებას მოითხოვდენ. უფრო მრისხანე და ღირს შესანიშნავი საქსონიის—ამ წითელი ქვეყნის—ბრძოლა გამოდგა. აქ გასულ წელს 1 ნოემბერს მთელს საქსონიაში საარჩევნო დემონსტრციები მოახდინეს, რომელშიაც რამოდენიმე ათასი მუშა იღებდა მონაწილეობას.

მარა ბურჟუაზიული კლასები ასე ადვილათ უკან როდი იხევენ და თავის პრივილეგიებზე უარს ერთი შეტევით როდი ამბობენ. ამიტომაც ბრძოლა შემდეგშიც იწარმოებს, სანამ იუნკერ-ბურჟუათა ციხე-სიმაგრე დაეცემოდეს და მას მუშათა კლასი დაეპატრონებოდეს.

გასულ წელს ლანდტაგების დეპუტატთა რიცხვი შემცირებულა. წინა წელს 19 საკავშირო სახელმწიფოში 151 სოციალისტი—დეპუტატი იხდა, ახლა კი, მხოლოდ 140. ყველაზე მეტი წარმომადგენელი—21—ბავარიასა და ჰამბურგშია, ყველაზე ნაკლები—თითოთითო ოთხ პაწია სახელმწიფოში. საუბედუროთ, 5 სახელმწიფოში არც ერთი სოციალისტი არაა, რომ ლანდტაგის ტრიბუნიდან ბურჟუაზიის მიერ მშრომელი ხალხის დაბეჩავება ამხილოს და ახალ-ახალი რაზმი შემოიერთოს. ორ სახელმწიფოში, ორივე მეკლენბურგში ჯერ კიდევ სრული აბსოლიუტიზმია და იქ ჩვენი ამხანაგები კონსტიტუციის შემოღებისათვის იბრძვიან.

არა ნაკლებ ყურადღებას აქცევს გერმანიის სოციალდემოკრატია ადგილობრივ თვითმართველობებს. საანგარიშო წელს 300 ქალაქში 1368 სოციალდემოკრატი იხდა და 17/9 სოფლის თვითმართველობის ორგანოში 4789 სოციალისტი. რასაკვირველია, ბევრი ქალაქი და სოფელი ჯერ კიდევ მიუვალი სიმაგრეა სოციალდემოკრატიისათვის.

თუ რამდენათ დიდია სოციალდემოკრატიის ძალა-გავლენა გერმანიაში ეს ნათლათ მტკიცდება პარტიის საერთო (ცენტრალური) კასის ანგარიშიდან. იქ, სადაც კლასიური ბრძოლა უკიდურესათ გამწვავებულია, სადაც იუნკერი და ბურჟუა, ხუცესი და ბიუროკრატი—ყველა სხვა და სხვა რანგისა და ხარისხის მყვლეფელი შეერთებულა სოციალდემოკრატიის შესამუსრავათ, რასაკვირველია, პარტია მთელს თავის მოქმედებაში მხოლოდ საკუთარ ძალღონეს ეყრდნობა. საერთო აგიტაცია, პრესა, ქალთა მოძრაობა, მოზარდთა შეგნება-შეკავშირება, მუშათა განათლების საქმის მოწყობა და ბევრი სხვა—ყველა მხოლოთ და მხოლოდ პარტიის კასიდან მითხოვს დაკმაყოფილებას. ამას დაურთეთ სხვადა სხვა თანამდებობის პირთ შენახვა პარტიის გამგეობიდან მოკიდებული ადგილობრივ სეკრეტარამდე და ცხადი იქნება რამდენათ მდიდარი უნდა იყოს პარტიის კასა, რომ ამ ათასგვარ მოთხოვნილებას თავი გაართვას და პროლეტარიატის წითელი დროშა მშრომელი ხალხის ფართო წრეებში ააფრიალოს. გერმანიის მუშას ეს კარგათ შეუგნია და უმდიდრესი კასა შეუქმნია: აქ დეფიციტს ადგილი არ აქვს, რასაც არა ერთი და ორი გვირგვინოსანი შურით შესცქერის.

ყოველი ადგილობრივი ორგანიზაცია პარტიის საერთო კასაში 15—20 პროც. თავის შემოსავლისას აგზავნის. აქედან პარტიის კასაში სულ საანგარიშო წელს 571,010 მარკა შესულა, დაახლოვებით 270.000 მანეთი. შემოსავლის დანარჩენი წყარო სხვადასხვა პარტიული წარმოებაა. მათში პირველი ადგილი ცენტრალურ ორგანოს „ფორვერტს“ უჭირავს. სულ პარტიის ცენტრალური კასის წლიური შემოსავალი 1.015,249 მარკაა, დაახლოვებით ნახევარი მილიონი მანეთი. გასავალი 621,202 მარკა, დაახლოვებით 300 ათას მანეთს უდრის. ამნაირათ, პარტიის კასას წმინდა შემოსავალი დაახლოვებით ორასი ათასი მანეთი ჰქონია.

ასეთია მოკლეთ პარტიის გამგეობის ანგარიში. მკითხველისთვის ცხადია, თუ რამდენათ მაღლა სდგას გერმანიის მუშათა კლასი, რომელმაც უძლიერესი პარტია შექმნა და მით ინტერნაციონალურ მუშათა მოძრაობაში სამაგალითო შეიქნა.

პარტეიტაგზე გამგეობის მოქმედების მომხსენებელი მოლკენბურია გამგეობისა და რეიხსტაგის ფრაქციის წევრი.

მოლკენბური: რამდენიმე ადგილას წერილობითი მოხსენება უნდა შევავსო. ზოგიერთ ოლქში ამხანაგებმა აგიტაცია გააფართოვეს. მე სახეში მაქვს მოზელის ოლქში მევენახეთა შორის სოციალისტური იდეების გავრცელება. ეს ოლქი ცენტრის ბურჯია, ამისდა მიუხედავათ რეიხსტაგის დამატებითი არჩევნების დროს სოციალდემოკრატების ხმამ ბევრით იმატა. ამით ამრჩევლებმა დაჰგმეს ცენტრის პოლიტიკა ე. წ. ღვინის კანონის შემუშავების დროს. ამ ოლქში მევენახე-მუშათა გარდა მრავალრიცხოვანი წვრილი მესაკუთრე მევენახეა, რომელთა მომხრეობა პარტიისათვის შესაძლებელია. ეს ადგილობრივ ამხანაგთა საქმეა.

მოზარდთა მოძრაობა ნიურენბერგის რეზოლიუციის თანახმათ შესაფერ კალაპოტში ჩადგა. მართალია, ზოგი ცდილობს ახლავე ცვლილებები შეიტანოს ჩვენს მოქმედებაში, მარა ეს ნაადრევია. ჯერ დიდი ცდაა საჭირო, სანამ ცვლილებათა მოხდენას განვიზრახავდეთ.

პარტიის გამგეობას ორი ადგილობრივი ორგანიზაცია უსაყვედურებს ნაკლები მოქმედება გამოიჩინაო. ეს დიდი დანაშაულია, რომ ამ ამხანაგებმა ჯერაც არ გვამცნეს როგორ შეიძლებოდა იმაზე მეტი მოქმედება რაც ჩვენ გავწიეთ, აგიტატორთა ნაკლებობა გვისაყვედურეს. ნუ თუ ეს პარტიის გამგეობის 9 წევრის ბრალია, რომ აგიტატორები გვაკლია? ეს მემკვიდრეობითი სენია ჩვენს პარტიაში—საგიტაციო მასალა ბევრია, მომქმედი ხალხი კი არაა საკმაო. დიდ იმედს ვერც პარტიულ სკოლაზე დავამყარებთ: 20—30 ახალგაზდა, რომელიც იქ სწავლას ღებულობს, რასაკვირველია, ცოტაა ჩვენს პირობებში. ერთ-ერთი გზა ადგილობრივი ძალების შექმნა-მომზადებაა და აქეთქენ მივაპყრობთ ამხანაგთა მთელ ყურადღებას.

გასული წლის პოლიტიკური მდგომარეობა ძალიან ხელ-საყრელი გამოდგა ჩვენი პარტიისათვის. ჩვენი მტრები ყოველი ძალ-ღონით შეეცადენ თვისი სახსავსებით დაგვანახონ. იუნკერთა დიქტატურამ მთელი ხალხი ააბობოქრა და თუ რა გავლენა მოუხდენია ამაებს ხალხის ფართო წრეებზე ეს ნათლათ გამოჩნდა უკანასკნელ არჩევნებში.

აშკარაა, საწარმოვო კრიზისი დიდათ აფერხებს პარტიის ზრდა განვითარებას, მარა ის მოვლენა, რომ კრიზისის მიუხედავათ პარტიის წევრთა რიცხვი ჩვეულებრივი ესტემპით გაზდილა. ეს ნათლათ ამტკიცებს სოციალიზმის დიად მიმზიდველ

*) იხ. „მომავალი“ № 22.

12,461 ხმა. სოკოლოვმა მიიღო—4,677 ხმა, გრიბოედოვმა—ოქტომბრისტმა—3,951, კუზმინ-კარავაევმა—უპარტიო-პროგრესისტმა, 1799; ბულაცელმა—მემარჯვენე—1242. ოფიციალურათ ხვალ დასთვლიან ქვებს.

**პეტერბურგი.** მიწების მოწესრიგების მთავარ გამგემ სახელმწიფო დუმაში კანონ-პროექტი წარადგინა გადადებულ იქნას საჭირო თანხა 1910 წელს ჰერორის მხრის გამოსაკვლევ ექსპედიციის გასაგზავნათ.

**ოდესა.** 6 საათისა და 30 წუთზე სწრაფი მატარებლით მოვიდა ყოფილი შაჰი მაჰომედ ალი თავისი ოჯახობით. სადგურზე შეეგება—ჯარების უფროსი, გრადონაჩალნიკი და რკინის გზის ადმინისტრაცია. შაჰი მისთვის გამართულ ბინაზე წავიდა გოგოლის ქუჩაზე.

**მოსკოვი.** სამაზრო სამოსწავლო საბჭომ მიიღო თავად-აზნაურთა სამაზრო წინამძღოლის პროექტი პირველ-დაწყებით სკოლებში სწავლის დაყენების შესახებ, რომ ბავშვები აღზრდილ იქნენ სარწმუნოებრივ ზნეობრივი მხრით და ჩაუნერგონ მოწაფეებს რუსული ნაციონალური აზრები.

**ვარშავა.** ჟიმადოკის სადგურის ახლოს ვაგონში რევოლვერით მოკლეს ჟირარდოვის ფაბრიკის კონტროლიორი გიებულტოვსკი. მკვლელები მიიმალნენ.

**პოლტავა.** სამაზრო საერობო კრებამ დაადგინა გახსნას მაზრაში 14 ახალი სასოფლო ბიბლიოთეკა-სამკითხველო, წიგნის მაღაზიების 20 განყოფილება და ოთხი შინამრეწველობის—სასწავლი სახელოსნო.

**მოსკოვი.** სენატორის რევიზიის გამოკვლევის გამო განკარგულება მოახდინეს დაატუსაღონ სამხედრო საბჭოს საქმის მწარმოებელი პოლკოვნიკი პოლიაკოვი.

**კალუგა.** ტარუსის მაზრის სოფელ პოლეიში სამი უცნობი შეიპარენ ეკკლესიის დარაჯის სახლში; შეკრეს დარაჯები, გასტეხეს ეკკლესიის კარები და წაიღეს ძვირფასი ნივთები. აქედან შეიჭრენ მღვდლის სახლში, წაართვეს ფულები, მის ქალს ძვირფასი ნივთები და გაიქცენ.

**კურსკის.** ლვოვის მაზრის ს. ბანიცაში დაიწვა 53 მოსახლე; ზარალი 20,000 მანეთამდეა.

**პეტერბურგი.** მინდორზე სცადეს რუსეთის საიმპერატორო საზოგადოების მიერ გამართული ხელით ცეცხლის საქრობები. ააშენეს შვიდი ხის პატარა სახლი, შიგნით დაანთეს ცეხლი და ნავთს და ბენზინს ცეცხლი წაუკიდეს. ცეცხლის მქრობლები საჩქაროთ აქრობდენ ცეცხლს. გამოცდას ყველა ბარანდრეისტები დაესწრენ.

**უფა.** ყაზანის სამოსამართლო პალატის სესიამ განიხილა საქმე ორი გლეხის, ერთი მდაბიო მოქალაქის, ერთი მოლას და კუსტანის ქარხნის შვიდი გლეხის. მათ აბრალებდენ პოლიციელებთან შეიარაღებულ წინააღმდეგობას. პირველ ოთხს გადაუწყვიტეს სხვა და სხვა ვადით ციხე, დანარჩენ ოთხს სამი თვის სატუსაღო.

**ბორისოგლებსკი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს შემოღებულ იქნას ბორისოგლებსკში საყოველთაო სწავლა, გადადებულ იქნა სკოლის ხუთი შენობისთვის 60,000 მანეთი და მასწავლებელთა დასახმარებლათ 12,480 მან.

**ხარკოვი.** სათავად-აზნაურო კრებამ დაადგინა გარიცხოს თავის წოდებიდან პირველი დუმის ყოფილი დეპუტატი, ხარკოვის გუბერნიიდან, კოვალენსკი, გრედესკული, ლინტვარევი და დელარიუ-ივანიცკი, რომლებმაც ვიბორგის მოწოდებას ხელი მოაწერეს.

**ალექსანდროვსკი.** სამგზავრო გემი „ბოიკი“ ალექსანდროვის ახლო ქვას დაეჯახა და შეიმტვრა. არავინ დაშავებულა. გემი ნაპირზე გაირიყა.

**ნოვოჩერკასკი.** ზუევის ვოლოსტის მაღნებში დაიჭირეს მძარცველი, სვიცკის ჯგუფის წევრი, რომელიც ყალბი პასპორტით სცხოვრობდა.

**ჩერნიგოვი.** დაბა ახალ ბასანიაში ვოზელეცკის მაზრაში, დაიწვა 40 მოსახლე, მთელი ქონებით, ზარალი 20,000 მანეთამდე.

**ტირასპოლი.** ქალაქის საბჭომ დაადგინა შემოიღონ საყოველთაო სწავლა.

### ხ ო ლ ე რ ა.

**პეტერბურგი.** დღე და ღამეში ხოლერით ავათ გახდა 37, მოკვდა 13, ავათ არის 363.

**ბაქო.** 1—22 სექტემბრამდე ავათ გახდა 4, მოკვდა 1.

**ჩერნიგოვი.** ავათ გახდა 4.

**ვლადივოსტოკი.** თავიდანვე ავათ გახდა 93, მოკვდა 50, მორჩა—20.

# უკანასკნელი ფოსტა

### ოსმალეთი.

**ყოფილი სულთანი.** ყოფილი სულთანი ძალიან ცუდათ გრძნობს თურმე თავს. იძულებული მარტოობა და უსაქმობა ძლიერ მოქმედობს მისი ჯანმრთელობის გაუარესებაზე. აბდულ-ჰამიდს ხშირი უძილობა აწუხებს. ის თხოულობს, რომ ოსმალეთის მთავრობამ მას ნება მისცეს ძველი სასახლის ექიმები მოიწვიოს, რომელნიც სულთანის ტემპერამენტს კარგათ იცნობენ. ამას სულთანი ისეთი სიმტკიცით მოითხოვს, რომ მთავრობა წინააღმდეგობის გაწევას ვერ ახერხებს. უკანასკნელ ხანებში სულთანმა რაღაც შიშიანობა დაიწყო, რომელმაც მას დიდი ტანჯვა მიაყენა. ის ლოგინში ჩაწოლას ვერ ბედავდა და მთელ ღამეებს ფეხზე ათენებდა. სულთანი მთელი საათობით მიდი-მოდიოდა და მისი დაწყნარება შეუძლებელი იყო. ის განკარგულებებს ახდენდა, სხვადასხვა სურვილებს გამოსთქვამდა, ერთი კითხვიდან მეორეზე გადახტებოდა, ნათქვამი მაშინვე ავიწყდებოდა—ერთი სიტყვით, მახლობელნი ძალიან ცუდ მდგომარეობაში იყვნენ მისი უცნაური საქციელით ჩავარდნილნი. ექიმებმა ურჩიეს სულთანს თუთუნის წევა შეემცირებია, რაც მას ძალიან გაუჭირდა. ბევრს ცდილობდენ სულთანი რეგულიარული ცხოვრებისათვის მიეჩვიათ, მაგრამ ყოველმა ცდამ უნაყოფოთ ჩაიარა.

**საბერძნეთის აღორძინება.** ათინის გაზეთებში დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამას წინათ ათინაში მომხდარმა სახალხო კრებამ. კრებას 70,000 კაცი დაესწრო. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ამ კრებას მშვიდობიანი რევოლიუციის ხასიათი აქვს, რომლის მიზანია საბერძნეთის სახელმწიფოს განახლება. გაზეთების აზრით 14 სექტემბერი (ამ დღეს მოხდა კრება) საბერძნეთის პოლიტიკურ და ნაციონალურ განათლების დასაწყისათ უნდა ჩაითვალოს.

### რუსეთი

**ილიოდორეს შეურაცყოფა.** ამას წინათ სამღვთო წესის შესრულების დროს ვიღაც წვერიანმა მაწანწალამ (ბოსიაკმა) ბერ ილიდორეს პირის სახეზე მუჭით სილა შეაყარა. ღამით ყველა თავშესაფარი გაჩხრიკა პოლიციამ და წვერიანი მაწანწალები დაატუსაღა. მიუხედავათ ამისა დამნაშავე მაინც ვერ აღმოაჩინეს.

**პრივატ-დოცენტ როჟკოვის (ს.-დ.) საქმე.** ამას წინათ მთავრობამ დაატუსაღა მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი როჟკოვი. მას აბრალებდენ ს.-დ. პარტიის ორგანიზაციის წევრობას და სხვ. სამოსამართლომ მას ორი წლის ციხე გადაუწყვიტა. როჟკოვმა საქმე სენატში გაასაჩივრა. როგორც ახლა „ბირჟ. ვედ.“ იტყობინება, უმართებულეს სენატს საკასაციო საჩივარი უყურადღებოთ დაუტოვებია.

### საზღვარ-გარეთ.

**უმუშევრობა ინგლისში.** „ბოარდ ოფ-ტრადში“ გამოქვეყნებულია ცნობები უმუშევრობის შესახებ ინგლისში. 416 ტრედ-უნიონში 697,268 წევრი ითვლება. აქედან გასული თვის ბოლოში უმუშევრათ დარჩენილა 53,918 კაცი.

**როგის წამება.** გაზეთ „მატენს“ ტანჟერიდან ცნობა მიუღია, რომ როგი-ბუ-ხამარა მართლა ჩაუგდეს ლომს დასაგლეჯათ სულთან მულაი-გაფიდის ბრძანებით. სულთანი ამ საქმეში უცხო სახელმწიფოების ჩარევამ უფრო გააბრაზა და როგის სიკვდილი იმიტომ დააჩქარა.

27 აგვისტოს (9 სექტ.) სულთანი თავის საზაფხულო სასახლიდან დაბრუნდა. ეს სასახლე ორი კილომეტრის მანძილზეა ფეციდან დაშორებული. უცხო ქვეყნის ელჩები მასთან აუდიენციაზე მივიდნენ, მარა სულთანმა არ მიიღო ისინი. მან უბრძანა როგი ჩაეგდოთ გალიაში, სადაც ლომი იყო დამწყვდეული. ლომი ახლათ გამაძღარი იყო ხორცით და მხოლოთ იმით დაკმაყოფილდა, რომ თავის მსხვერპლს მკერდის ბეჭის ღრღნა დაუწყო. როგიმ გონება დაკარგა და მთლათ სისხლში გასვრილი მიწაზე დაეცა. რამოდენიმე წუთის შემდეგ ლომმა თავის მსხვერპლს თავი დაანება. როგის ტანჯვას რევოლვერის ტყვიებით მოუღეს ბოლო. ამის შემდეგ მისი სხეული გალიიდან გამოათრიეს, ზედ ნავთი გადაასხეს და დასწვეს.

**უბედური შემთხვევა სკოლაში.** იტალიელთა ნაციონალურ დღესასწაულის დღეს ნიუ-იორკში სამრევლო სკოლის მახლობლათ ყუმბარა ააფეთქეს. მოსწავლეებს თავზარი დაეცათ, ვინაიდან გაგონილი ქონდათ, რომ „შავ ხელს“ (ექსპროპრიატორთა ორგანიზაციაა) მათი სკოლის აფეთქება განეზრახა. ათასამდე ბავშვი ქვედა სართულის გასავალი კარისაკენ დაეშვა. გასავალი კარი დაკეტილი აღმოჩნდა და საცოდავი ბავშვები ერთი მეორეს დააწვენ თავზე. როდესაც პოლიციამ კარი გაალო, მას წინ საზარელი სურათი წარმოუდგა. ერთი მეორეზე შეწოლილი ბავშები საცოდავათ კვნესოდენ და შველას თხოულობდენ. რამოდენიმე ბავშმა ფანჯარა გასტეხა და შეკრებილ ხალხში გადაეშვა. პოლიციამ და ცეცხლის მქრობელმა რაზმმა სხვა ბავშვებს ხელი შეუშალეს მაღლიდან გადმოხტომაზე. რვა ქალიშვილი და ხუთი ყმაწვილი გრძნობა დაკარგული აღმოჩნდა და საავათმყოფოში გაგზავნეს.

**რევოლიუციონური მოძრაობა პარაგვაიში.** ბუენოს-აირესიდან იტყობინებიან, რომ პარაგვაიში (სამხრეთ ამერიკაშია) რევოლიუციონურმა მოძრაობამ სერიოზული ხასიათი მიიღო. აჯანყებულებმა რამდენიმე მსხვილი დაწესებულება ჩაიგდეს ხელში. პარაგვაის მთავრობამ დეპეშების ცენზურა დააწესა.

**გაფიცვა შვეციაში.** ბერლინის გაზეთებს სტოკჰოლმიდან ატყობინებენ, რომ გაფიცვის საბოლოოთ შეწყვეტის შესახებ გამართულმა მოლაპარაკებამ უნაყოფოთ ჩაიარა. გაფიცვა ისევ გრძელდება. მართალია, ბევრ სავაჭრო დარგებში მუშაობა განახლდა, მარა გაფიცულთა რიცხვი კიდევ დიდია—ის 80,000 კაცს უდრის. გაფიცული არიან სამთამადნო ქარხნების და ლითონის დასამუშავებელ ქარხნების მუშები. სახელმწიფოს ყოველ დღე დიდი ზარალი აქვს. მუშები აცხადებენ, რომ მზათა ვართ გაფიცვა კიდევ დიდხანს გავაგრძელოთო.

**შეთქმულება ისპანიაში.** რამდენიმე დღის წინათ პოლიციის უფროსთან ვიღაც უცნობი კაცი მისულა და გადაუცია, ანარქისტები საშინელ შეთქმულებას ამზადებენო. პოლ. უფროსმა ჯერ ასეთ ცნობას ყურადღება არ მიაქცია, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ისეთ კვალს წააწყდა, რომ შეთქმულების დაუჯერებლობა შეუძლებელი იყო. დაატუსაღეს ორი ახალგაზრდა კაცი, ერთი ჟურნალისტი და მეორე ვაჭარი. მათ ბევრი პროკლამაცია და საიდუმლო დოკუმენტები აღმოაჩნდათ. ამ დოკუმენტებიდან გამოირკვა, რომ მეამბოხეებს ისეთივე აჯანყება სურდათ მადრიდში მოეხდინათ, როგორიც ამას წინათ ბარსელონაში მოხდა. განზრახული ქონდათ, ფერერის სასარგებლოთ მანიფესტაცია მოეხდინათ და შემდეგ რამდენიმე ტერორისტული აქტი მოეხდინათ. პირველი მსხვერპლი უნდა გამხდარიყო მინისტრი მაურა, მას მოყვებოდენ შემდეგ სხვებიც. შეთქმულობის აღმოჩენამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ქალაქში.

**პოლიტიკური კრიზისი ინგლისში.** ინგლისის პოლიტიკურ წრეებში ყოველ დღე იზრდება ის აზრი, რომ ზედა და ქვედა პალატათა შორის განხეთქილება აუცილებლათ მოხდებაო. გაზეთი „ტიმესი“ ირწმუნება, ლორდები ისეთი ნაბიჯის გადადგმას აპირებენ, რომელიც მთავრობას იძულებულს გახდის სათემო პალატა გარეკოსო.

# ახალი ამბები

**ხოლერა ბაქოში** თანდათან ძლიერდება. როგორც საგენტოს დეპეშა იუწყება 15—22 სექტ. ხოლერით ავათ გამხდარა 4 კაცი. მათ შორის ერთი უკვე მოკვდა.

✦ **ყუმბარის პოვნა.** 22 სექტემბერს, დილის 8 ნახევარ საათზე რომანოვის და იურიევის ქუჩის შუა, ხრამში იპოვეს სასროლათ გამზადებული ყუმბარა, ავჰალის ტიპისა.

✦ **ნიაღვრისაგან დაზარალებულნი.** როგორც გუშინ გვქონდა მოხსენებული, 21 სექტემბერს ნიაღვრისაგან დაზარალებულებმა განცხადება წარადგინეს ქალა-

---

ძალას (სავსებით მართალია!) 1906 წ. პარტიაში ირიცხებოდა 384.000 წევრი, 1907 წ. 530.000 და 1908 წ. 587.000, წელს კი 633 ათასი. ჩვენ უძლიერესი პარტია ვართ არა მარტო გერმანიაში, მთელს ქვეყანაზედაც (გაცხარებული და ხანგრძლივი საერთო ტაში და ბრავო!) თავისი 633.000 წევრით ჩვენ გადავაჭარბეთ „კათოლიკეთა ხალხის კავშირს“ რომელსაც 625.000 წევრი ყავს. საუბედუროთ, „არყის ბლოკის“ უდიდეს პარტიის ცენტრს ჯერ კიდევ მუშათა კარგა მოზრდილი ნაწილი ემხრობა. ჩვენი ვალია მას ნიღაბი ავხადოთ. ცენტრმა უკანასკნელ ჟამს იმდენი უბედურობა დაატეხა ხალხს თავზე, რომ თუ ჩვენ მის მოქმედებათა ნახევარსაც გავაცნობთ ყველა მუშებს, უკანასკნელი მუშაც კი ზურგს შეაქცევს ამ ხუცების პარტიას (სავსებით მართალია). მან გადასახადი დაადვა არაყსა და ლუდს და უარყო წინადადება ამ გადასახადის შემოღებით უადგილოთ დარჩენილ მუშებს დახმარება მიეცეს. მან მოიწონა თამბაქოს გადასახადი, რომელიც წვრილ წარმოებას გაქრობას უქადის და შეჰკვეცა უპუროთ დაჩენილ თამბაქოს მუშათა დაჯილდოება. მან პირდაპირი გადასახადი უარყო და უღარიბესი ქალის ჰქა ყავე ოთხი მეხუთედით გააძვირა (ყური დაუგდეთ!)! თუ ყველა ამას ჩვენ საგიტაციოთ გამოვიყენებთ, ცენტრის ბევრ მომხრე მუშას გადმოვიბირებთ (სავსებით მართალია!).

საწარმოვო კრიზისი, რომელმაც ასე შეაფერხა ჩვენი აგიტაცია-ორგანიზაცია, სჩანს, ნელ-ნელა ჰქრება: რკინის წარმოება მატულობს. წარმოების გამოცოცხლება ჩვენი მიზნისათვის უნდა გამოვიყენოთ. საჭიროა დაუყონებლივ სოფლებში აგიტაციას შევუდგეთ. მართალია, ჩვენ 3 ნახევ. მილიონი ხმა მივიღეთ, მარა ეს ძალიან ცოტაა, რადგან დაახლოებით 13 მილიონი მუშა მამაკაცია გერმანიაში. აქედან 6 ნახევ. მილიონი მაინც არის სახეში მისაღები, თუ მცირე წლოვანთა და მთავრობისაგან დამოკიდებულთ გამოვაკლებთ. თან 8 მილიონი ქალი მუშაა, აქედან 6 ნახევ. მილიონის მომხრობა მაინც უთუოთ შესაძლებელი საქმეა.

სტატისტიკიდან ნათლათ სჩანს, რომ ხალხის უმრავლესობა ისეთებისგან შესდგება, რომელთათვისაც სოციალიზმის განხორციელება ხელსაყრელია. ოთხჯერ მეტი მუშა და მოხელენია (ინჟენერ-დირექტორები და სხვ.) წარმოებაში ვინემ დამოუკიდებელი მწარმოებელნი და თან უკანასკნელთა შორისაც ბევრი უკვე პროლეტარულ მდგომარეობაშია. თამამათ შეიძლება ითქვას, რომ 10 მილიონის წინააღმდეგ სულ ცოტა 21 მილიონი ისეთი ხალხია, რომელიც სოციალიზმის განხორციელებაში დაინტერესებულია. გარდა ამისა ერთი ნაწილი თავისუფალ პროფესიათა წარმომადგენლებისა და სხვადასხვა იდეალისტები ჩვენს დროშას უერთდებიან. ჩვენი მოწინააღმდეგენი ჩვენში განხეთქილების, რასკოლის იმედით იკვებებიან. ზოგიერთი წინააღმდეგობა პარტიაში აუცილებელია და ეს უთუოთ გაიზრდება. წინააღმდეგ შემთხვევაში პარტიას სიკვდილი მოელის: სულიერი ცხოვრება მოისპობოდა. პარტიული ცხოვრება ვითარდება, მარა ერთი ნაწილი მასთან სიარულს ვერ ასწრებს. ეს ახლათ შექნილი, პარტიაში ახლათ შესული ხალხია, რომელსაც ბურჟუაზიული სულისკვეთება შემოაქვს. ერთათ ერთი წამალი, ეს დროთა ვითარებაა. მარა რამდენათაც დიდი უნდა იყოს აზრთა სხვადასხვაობა, ერთში ყველა თანახმაა: ჩვენი პროგრამის განხორციელება მუშათა კლასის ერთობაშია. ამიტომაც პარტიის მთლიანობის დაცვა ჩვენი უპირველესი მოვალეობაა (სრულიად მართალია! ხანგრძლივი ტაში და ბრავო!).

ნამდვილი ამხანაგი მხოლოდ ისაა, ვინც ჩვენს ძირითად პრინციპებს იზიარებს და მათ განხორციელებას ცდილობს. წარმოებაში მომუშავე ხალხი უკანასკნელი ცნობებით მცხოვრებთა 56 პროცენტია, სასოფლო მეურნეობაში კი მხოლოდ 28 პროცენტი. 1882 წლიდან მოკიდებული ინდუსტრიაში მომქმედ მუშათა რიცხვი 4.900.000 კაცით გაზრდილა, წარმოებათა რიცხვს კი 183.000 დაუკლია. ეს ნათლათ ამტკიცებს, რომ ჩვენი შეხედულება წარმოების ცენტრალიზაცია-კონცენტრაციის შესახებ სრული ჭეშმარიტებაა. ეს უფრო თვალსაჩინოა გერმანიაში. წარმოების უკანასკნელი აყვავების ხანაში ჩვენ თვალწინ უზარმაზარი ტრესტი და სინდიკატები დაარსდა.

მიუხედავათ იმისა, რომ ეკონომიურ ცხოვრებაში ინდუსტრია ბატონობს, პოლიტიკაში სოფლის მეურნეობა—აგრარიები. ასეთ მოვლენას ხშირათ ბურჟუაზიული პარტების სიმხდალეს აწერენ ეს სისულელეა. მეურნეობაში 2 ნახევარ მილიონი დამოუკიდებელი მესაკუთრეა, ინდუსტრიაში კი მხოლოდ 1.977.000 ამნაირათ, მესაკუთრეთა შორის უმრავლესობა აგრარიებია. ამიტომაც არის ინდუსტრიული ქვეყანა იუნკრების უღელს ქვეშ გმინავს და მისი განთავისუფლება არა ბურჟუაზიის, არამედ მხოლოდ პროლეტარიატის საქმეა. აგრარიები აიძულებენ მუშებს, რომელნიც მათგან დამოკიდებულებაში არიან, მათი ინტერესები დაიცვან. 4 ნახევარ მილიონ ხმაში, რომელიც „არაყის ბლოკის“ ხელშია, ბევრია მუშათა ხმაც. ჩვენი ვალია ისინი „არაყის ბლოკს“ ხელიდან გამოვგლიჯოთ. ამიტომაც ჩვენ ყოველი ძალღონით უნდა ვეცადოთ მუშათა შეგნება-შეკავშირებას, რომ მომავალ პარტეიტაგზე შეგვეძლოს სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ ასი ათასები შემოვიერთეთ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ თანდათან მთელს მუშათა კლასს ჩვენი დროშის ქვეშ შემოვკრებთ და მაშინ ჩვენი მიზნის განხორციელებისა და მით საბოლოო გამარჯვების საათიც დაჰკრავს (ბრავო! საერთო დაუსრულებელი ტაშის ცემა).

პარტიის კასის მდგომარეობას პარტეიტაგს „ფინანსთა მინისტრი“ გერიში აცნობს.

გერიში: წრევანდელი კასის მდგომარეობა ყველა ამხანაგისთვის სასიამოვნო და მტრებისთვის ფრიად საწყენი გამოდგა. რასაკირველია, ჩვენი ფინანსთა მინისტრები შურით შესცქერიან ჩვენ კასას, რადგან თვითონ მუდმივ დეფიციტს ჩვეულნი არიან. საბედნიეროთ, ჩვენი მოხსენება მაშინ გამოქვეყნდა, როცა რეიხსტაგი დახურული იყო, თორემ „არაყის ბლოკი“ ალბათ, მასაც გადასახადს დააკისრებდა (საერთო სიცილი). მარა ჩვენ ვერ დავკმაყოფილდებით ასეთი მდგომარეობით. არ უნდა დავივიწყოთ, რომ გასავალი თანდათან იზრდება და ამიტომაც მთელი ყურადღება იმას უნდა მივაპყრათ, რომ კასის მდგომარეობა ერთ დონეზე გაჩერდეს.

ორიოდე სიტყვა პარტიული პრესის შესახებ. ჩემი შარშანდელი აზრი, კრიზისი პრესას ავნებსო, გამართლდა. გასული წლის განმავლობაში პრესას საერთოთ 19.791 ნაკლები ხელის მომწერი ყოლია და ამიტომ შემოსავალიც 76.208 მარკით ნაკლები ყოფილა. სულ ხელის მომწერთა რიცხვი გასულ წ. 1.041.498 უდრის. განცხადებათა შემოს. 158.439 მარკით უმატია.

ხელის მომწერთა დაკლება ძალიან საწყენია, თუმცა ადვილი ასახსნელია. მარა უიმედობას ადგილი არ აქვს. ბევრი რამ ამბობს მდგომარეობის გაუმჯობესების სასარგებლოთ და ჩვენ ვიმედოვნებთ მომავალი პარტეიტაგის წინაშე უკეთეს ცნობებს წარმოვადგენთ (ტაში).

მცირე კამათის შემდეგ პარტეიტაგი ერთხმათ იღებს გამგეობის მოხსენებას და მათ მას ნდობას უცხადებს.

შემდეგი საკითხი საკონტროლო კომისიის მოხსენება. მომხსენებელი კადენი მოგვითხრობს პარტიიდან 16 გამოსარიცხავი ამხანაგის ბედს. ადგილობრივი სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ერთ-ერთ მხარეს საკონტროლო კომისიაში საჩივარი შეუტანია. უკანასკნელს უმეტეს ნაწილთ სასამართლოს დადგენილება დაუმტკიცებია.

პარტეიტაგი უკამათოთ იღებს მოხსენებას.

შემდეგ სხვადასხვა წინადადებათა განხილვას შეუდგნენ. სულ პარტეიტაგის გახსნამდე გამგეობაში 256 წინადადება შეუტანიათ, თვით პარტეიტაგზე კიდევ 30, სულ 286.

გაისი მანჰაიმიდან ასაბუთებს თავისი ორგანიზაციის წინადადებას რეინის ხომალდების მუშათა შეკავშირება პარტიის გამგეობას დაევალოსო.

ზინგერის წინადადებით საკითხი განსახილველათ გამგეობას გადაეცა.

კრება იხურება 1 საათზე.

**დროებით საზღვარ-გარეთელი.**

(შემდეგი იქნება).

ქის გამგეობაში, რომლითაც ქალაქის გამგეობას სთხოვდენ ზარალის ანაზღაურებას ვინაიდან ისინი დაზარალდენ ქუჩების თავის დროზე მოუკირწყვლელობის გამო. 22 სექტემბერს ქალაქის გამგეობამ ამის შესახებ კრება გამართა და მათი განცხადება გადასცა შესამოწმებლათ ქალაქის ინჟინერს.

✦ **ქართული თეატრი.** 19 სექტ. შესდგა ქართულ დრამატიულ საზოგადოების სარეპერტუარო კომისიის კრება. კრებამ შეიმუშავა უმახლობელესი რეპერტუარი. სეზონი, როგორც უკვე გვქონდა მოხსენებული, გაიხსნება 27 სექტემბერს. ამ დღეს წარმოდგენილი იქნება „სამშობლო“, რომელშიაც, სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებს შ. შარაშიძე (ლევან ხიმშიაშვილი) და პეტერბურგის დრამატიული კურს დამთავრებული ქ-ნი კოლხიდელი (ქეთევანი). ამას გარდა რეპერტუარში შედის: „მედეია“, „უდანაშაულოთ დასჯილნი“, „მზეს მოკლებულნია“, „ქოჩრიანი ტოროლა“, დუტუ მეგრელის—„სიკვდილი და სიცოცხლე“, „ცრემლთა ხეობა“. აჰარონიანისა და სხ. დასში იმათ გარდა, რომლებიც უკვე გვქონდა გამოცხადებული, ირიცხებიან ქ ქ. ა. კარგარეთელი, ბ. ნებიერიძე, ა. საგანაშვილი, მ. ქილარჯიშვილი და ნ. ჯავახიშვილი. ბ ბ. გვარამე, ზარდალიშვილი, ი. ივანიძე მ. მატარაძე და ზ. საფაროვი.

✦ **ავტომობილით მიმოსვლა.** კავკასიის ნამესტნიკის მოადგილემ ფ. ტატევოსოვს, გ. ვართანოვს და ს. სოკოლოვს ნება დართო მოაწყოს ავტომობილით მიმოსვლა ერევნიდან ლასაჩიგაგამდე და ეჩმიაძინიდან სოფ. იგრირამდე.

✦ **ქალთა საზოგადოება.** თფილისში არსებულ „კავკასიის ქალთა საზოგადოებამ“ უკვე შეიძინა საკუთარი ბინა, იმყოფება ელისაბედის ქ. № 74 და ვისაც რამე საქმე აქვს შეუძლია იქ მიმართოს. იქვე შეიძლება ცნობების გაგება და წევრათ ჩაწერა.

✦ **ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.** სიღნაღის მაზ. სოფ. გურჯაანში, რომელიც ქ. სიღნაღიდან 19 ვერსით მოშორებულია, გაიხსნა ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება.

✦ **მკვლელობა.** როგორც სოფ. საჭილაოდან გვწერენ, ამ დღეებში იქ ჩხუბის დროს მოუკლავთ ადგილობრივი მცხოვრები ერმილე ჩიტაია და ვარდენ ნანეიშვილი და დაუჭრიათ ორი სხვა.

✦ **უპასპორტოები.** 22 სექტემბერს მე-8 საპ. ნაწილში ჩხრეკის დროს დააპატიმრეს 7 უპასპორტო.

✦ **სხვა და სხვა ამბები.** 22 სექტემბერს პოლიციამ დააპატიმრა გორის მაზ. მცხოვრები ი. ბოჭორიშვილი, თფილისის მოქალაქე გ. სუკიასოვი და ახალციხის—მ. ბებერაშვილი. მათ ბრალდებათ ქურდობა.—22 სექტ. თფილისის მოქალაქემ მიხეილ ბოჭორიშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ სახლში არ ყოფნის დროს მას ვილაცეებმა მოპარეს 866 მან. ღირებული სხვა და სხვა ოქროსა და ვერცხლის ნივთები. ბოჭორიშვილის განცხადებით, ნივთები მოპარული უნდა იყოს ოზურგეთის მაზრის მცხოვრებ სიმონ თევზაძის მიერ, რომელიც მასთან მსახურებდა და დაითხოვა. მიღებულია ზომები თევზაძის დასაჭერათ.—თფილისის გუბერნატორის განკარგულებით პურისა და ხორცის ზედმეტ ფასებში გაყიდვისათვის დაჯარიმებულ იქნენ სიმონ გოგნიძე და გიორგი შალამოვი 25 მან. თვითელი, ანდა ორ-ორი კვირით დაპატიმრებით. მისივე განკარგულებით დააჯარიმეს თფილისის მცხოვრებნი დავით კალიაშვილი და მიხეილ კალატუზოვი. პირველი 4 მან. ან 3 დღით დაპატიმრებით, ხოლო მეორე 5 მან. ან 2 დღით დაპატიმრებით.

✦ მღ. სარდიონ ჯინჭარაშვილი მადლობას უცხადებს ნოვოროსიის და ქერჩის ნავთსადგურის გურულ მუშებს, რომლებმაც ნივთიერი დახმარება აღმოუჩინეს მას“.

✦ **სტატისტები.** ქართული დრამატიული საზოგადოება მომავალ სეზონისთვის კვლავ დებულობს სტატისტებს. ვისაც სურს [illegible]

## პროვინცია

**ს. სვირი.** (იმერეთი) სვირის საზოგადოება 2000 კომლისაგან შესდგება. აქვს ერთი ორკლასიანი სასწავლებელი. უალაგობის გამო ყოველ წლობით ორასამდე ბავშვი რჩება სკოლის გარეთ.

წელს მთავრობამ მიუმატა ერთკლასიანი სასწავლებელი. მასწავლებელს დაენიშნა 400 მან. სკოლის შენობისთვის გადაიდო 500 მ. მასწავლებლათ დანიშნეს კლიმენტი ჯუღელი. მისი დანიშვნა არ ესიამოვნა ორკლასიანი სკოლის ზედამხედველს გიორგი ჯუღელს, ადგა და სხვა რომ ვერა გააწყო რა, შეეხვეწა სკოლის ინსპექტორს სუდაკოვს (ბავშვებს უნათლავს გიორგის) მოაკლეით კლიმენტის ჯამაგირი და მე მომიმატეთო. სუდაკოვმაც შეიწყნარა მისი თხოვნა მოაკლეს კლემენტის ორმოცი მანეთი და გიორგის მიუმატეს, მაგრამ ამით არ კმაყოფილდება ბ-ნი გიორგი, ის ბავშვებს ეუბნება: სკოლაში ნუ დადიხართო, ამით უნდა სულ გააძევოს აქედან კლემენტი. საზოგადოთ, აქაური სკოლის მასწავლებლებ შორის დიდი ელიაქოთი და ჩხუბია. უფროსებთან დაბეზღება და სხვა არა საკადრისი საქციელი ჩვეულებრივი მოვლენაა მათ შორის. სკოლის საქმე კი ფეხზე ჰკიდიათ.

ამ რვა წლის წინათ ანთ. ჯუღელი და მღვ. სიმონ მჭედლიძის ინიციატორობით აქ შესდგა ამხანაგობა. ამხანაგობამ გამართა სანერგე და შეუდგა საქმეს. რამდენიმე ხნის შემდეგ ამხანაგობამ სული დალია. ვერ გაგვიგია ვინ შესანსლა დარჩენილი რვაასი მანეთი. იმედია ინიციატორები ხმას ამოიღებენ.

**მუშა ხ—ო ე—ი.**

—

**რაჭა.** 1 ენკენისთვეს ცეცხლი გაუჩნდა ნაქერალას მთას. ცეცხლი შავორის მთაზე გადავიდა. 9 ენკენისთვეს ბოქაულის მოწერილობის თანახმათ მამასახლისმა გაგზავნა ცეცხლის ჩასაქრობათ 100 კაცი. ცეცხლი ჩააქრეს. 12 ენკენისთვეს დაბრუნდენ ცეცხლის ჩამქრობნი, მოიყარეს თავი სოფლის გარეთ და გამართეს მსჯელობა ვასილ ბედელაძის, დათა ჩაჩანიძის, ისიდორე ტოროშელიძის, იაგორ ბალიშაშვილის, ლუკა ქვათაძის და სილო ბრეგვაძის მეთაურობით. გადასწყვიტეს, რომ დაერბიით ის პირები, რომლებიც ცეცხლის ჩასაქრობათ არ ყოფილან არავითარმა ხვეწნა-მუდარამ მათთან არ გასჭრა. გადასწყვიტეს და შეესიენ კიდეც სოფელს. შეიქნა წივილ-კივილი, ალამახმადხანის შემოსევა გეგონებოდათ, წაართვეს ზოგს ფული, ზოგს გოჭი, ქათამი და სხვა. მოუყარეს ყველაფერს თავი და მიაბარეს ის. ტოროშელიძეს, ფულათ 120 მან. შეაგროვეს და უნდოდათ ამ ფულით და გოჭ-ქათმებით 14 ენკენისთვეს ქეიფი გაემართათ, მაგრამ ბედმა უმტყუნათ. დარბეულები ბოქაულთან გაიქცენ და მისი განკარგულებით ტოროშელიძის სახლი დაბეჭდეს.

**ილიკო.**

## მუშათა შორის

—

**ფოთი.** გაზეთ „ჩერნომორსკი ვესტნიკის“ გამომცემლობა და მათი ასოთ-ამწყობები. როგორც მოგეხსენებათ, გაზეთი „ჩერნომორსკი ვესტნიკი“ ალექსანდრე ნიკიტინის რედაქტორ-გამომცემლობით, რომელიც რამდენიმე წლობით გამოდიოდა ბათუმში, გადმოტანილ იქნა ფოთში.

პირველ დაწყებითი, ოთხი თვის განმავლობაში გაზეთი მხოლოდ ორშაბათობით გამოდიოდა. მარტის რიცხვებიდან გაზეთი ყოველდღიურათ გადააკეთეს და აი, ამ ხნის განმავლობაში გაზეთი შეუწყვეტლივ გამოდის სექტემბრის 6 რიცხვამდე. თუმცა იურიდიული გამომცემელი ბ-ნი ნიკიტინი იყო, მაგრამ რომ ჩვენ, ას.-ამწყობები, სრული უზრუნველყოფილი ვყოფილიყავით ჩვენი სამუშაო ქირით, მოვითხოვეთ გარანტია ბ-ნ დავრენტი ტუღუშიდან, რაზედაც ის დაგვეთანხმა. ჩვენი პირობა, რომელიც ნოტარიალურათ არ იყო დამტკიცებული ასეთია: იმ შემთხვევაში, თუ გამომცემელი დანიშნულ დროზე ფულს ვერ მოგვცემდა, პასუხს [illegible] ...ა არც ერთი შემთხვევა ამ ხნის განმავლობაში, მარტიდან სექტემბრამდე, რომ მუშებს ხვედრი ფული მიგვეღო თავის დროზე, მაგრამ ჩვენც, რასაკვირველია, დათმობის ტაქტიკის თვალთაზრისით მივყვებოდით სრულ მათი ფეხის ხმას. იყო შემთხვევები, რომ დანიშნულ დროზე თერთმეტი დღე გადაშორდებოდა. ამ ხნის განმავლობაში არაფერი მივიღეთ. და აი ეს კი ნიშნავს ერთ თვეს არაფრის მიღებას. ფოთში და მერე ისეთ პირებს, რომლებსაც აქ პირველათ გვიხდება მუშაობა, ამ სრულიად უცნობ ხალხში. და ასე, თითქმის ყველა თვეებში გვიხდებოდა მოლაპარაკება, როგორც ნიკიტინთან, ისე დავრენტი ტუღუშთან. პირველი ხშირათ გვეტყოდა, თუ თავს გაანებებთ მუშაობას, დავიხურავ თავზე და წავალო. მხოლოდ მეორე კი დაიწყებდა ხვეწნა-მუდარას: არ დამღუპოთ კაცი, საქმე ეხლა უკვე გათავებულია, ამხანაგობა კიდევაც შედგა ნიკოლაძის ხელმძღვანელობით და ამა და ამ რიცხვებიდან გაზეთი გამოვა გადიდებული ფორმატით, პირობებიც, რასაკვირველია, ერთი-ორათ გაგიუმჯობესდებათ და სხვ.

მაგრამ გავიდა ხანი და სულ წინააღმდეგში დავრწმუნდით. დავრენტი ტუღუშის სიტყვით გაზეთი ასეთი სახით უნდა გამოსულიყო ბ-ნ ნიკოლაძის ფოთში დაბრუნების ხანებში პეტერბურგიდან, ესე იგი, ივნისის რიცხვებში.

შაბათს, 5 სექტემბერს ხუთი დღის გაფერთხილების შემდეგ, რა გავიგეთ, რომ ფული არ იყო, მივატოვეთ მუშაობა. განმეორდა წინანდელი სცენა, მაგრამ, არა, თუმცა მუშაობის შეწყვეტის ორი ამხანაგი წინააღმდეგი იყვნენ, მაგრამ შეწყვეტის შემდეგ კი მუშაობა არ უნდა განახლებულიყო უფულოთ. ორშაბათს მივუგზავნეთ კაცი, თუ როდის იქნებოდა ფული. პასუხი: ორ-სამ დღეს შემდეგ. ორ-სამ დღეს შემდეგ ისევ კაცი ჩვენგან და იგივე პასუხი იმათგან. მაშინ მივედით ჩვენ და მოვსთხოვეთ ბ-ნ დავრენტის თავისი პირობის შესრულება და განვუცხადეთ აგრეთვე, რომ ის გადებულია მოგვცეს იმ დღების, რომლებსაც აქ გავწერდებოდით ანგარიშის მიღებამდის. პასუხი ასეთი იყო: მე ხელშეკრულობის ძალით ვალდებული ვარ მოგიზღოთ თქვენ მხოლოდ ის ფული, რომელიც გერგებათ ალექსანდრე ნიკიტინიდან და რადგანაც მე ეხლა ფული არც ჯიბეში მაქვს და არც კასაში, მადროვეთ, ვიშოვი და მოგცემთ. რაც შეეხება ამ დღეებს მე არ გცნობ თავს ვალდებულათ არც ზნეობრივათ და არც იურიდიულათ მის გადახდის. ასეთი პასუხები გაგრძელდა თორმეტი დღე. როგორც იქნა მეთორმეტე დღეს მუშაობის შეწყვეტისას მივიღეთ ხვედრი ფული და ისიც სავსებით ვერა.

აი ასე დასრულდა „ჩერნ. ვესტ.“ გამოცემა და ასოთ-ამწყობების დაკმაყოფილება.

**ასოთ-ამწყობები.**

## წერილი რედაქციის მიმართ

—

ქართლი სექციის რეორგანიზაციის შესახებ კამათი „მომავლის“ რედაქციამ უკვე შესწყვიტა, ამიტომ ამაზე ლაპარაკი შეუძლებელია. მხოლოდ არ შემიძლია უპასუხოთ დავტოვო ბ. ტოროშელიძის წერილების ის ადგილი, რომელიც ჩირქს მცხებს და მამცირებს, მე როგორც პიროვნებას. ამიტომ ვსთხოვ რედაქციას ნება მომცეს ამ მხრით ორიოდე სიტყვით პასუხი გავცე ბ. ტოროშელიძეს.

არ არის მართალი ბ. ტოროშელიძის ცნობა, ვითომ „ჩემს არსებობას პირველათ გაიგებენ სცენის მოყვარენი გაზეთის მე 14 ნომრიდან.“ ვითომ მე არაფერს ვაკეთებდი და ვაფუჭებდი კიდეც. მე ვმუშაობდი ჯერ კიდევ აფხაზის აუდიტორიაში, რასაც დაამტკიცებენ ყველა ისინი, ვინც მუშაობდა მაშინ ჩვენთან და აგრეთვე სცენის მოყვარენი, რომლებთანაც მე დავდიოდი სექციის სახელით. „18 სხდომიდან 7-ს დაესწრაო“—სწერს ის. შვიდს კი არა—დავესწარი 11 სხდომას, ხოლო ხელი არ მომაწერინეს იმიტომ, რომ —დაიგვიანეო. „თქვენ რომ დაგიჯეროთ, იმ აზრს უნდა დავადგეთ, რომ ქ.ქ. დემურია და რომანიშვილი თქვენი სექციიდან გამორიცხვის წინააღმდეგნი იყვნენო“. მერე და როდის ვწერდი მე, რომ ჩემი მომხრე იყვნენ? მე ვწერდი, რომ ყველა მუშების გამორიცხვის წინააღმდეგი იყვენ და არა ჩემი თუ გინდ სამი-ოთხის მეთქი. და თუ დაბეჭდვის დროს შეცდომით გამორჩენია სიტყვა ყველა, ამაში მე ბრალი არ მიმიძღვის. „დიპლომიანი მუშა არ მესმისო“—ამბობს ბ. ტო—ძე. ესმის, ძალიან კარგათ ესმის, მარა თავს იკატუნებს. მცოდნე მუშების მოწვევის მომხრე მეც ვიყავი, მარა ბ. ტ—ძესთვის ამისთანა მუშები მანამდე იქნებოდენ მცოდნე, სანამ მის სურვილებს არ აღუდგებოდენ წინ. მერე კი ჩვენსავით „უვიცნი“ გახდებოდენ. „რეორგანიზაციის მომხრე არ იყავიო“—მეუბნება ის. ეს სიმართლეს მოკლებულია. აბა მოიგონეთ აფხაზის აუდიტორიის კარიდორში კრების დროს როგორ თავგამოდებით ვიცავდი რეორგანიზაციას და მოვითხოვდი რომ არ გადაგვედო შემდეგისათვის, მიუხედავათ იმისა, დაესწრებოდა თუ არა ბ. შათირიშვილი.

დასასრულ ვაცხადებ ბ. ტოროშელიძის საყურადღებოთ, რომ მე არავითარი სურვილი და განზრახვა არ მაქვს თქვენს შესახებ ვერძო ცნობები შევკრიბო თქვენი ცხოვრებიდან. ფიქრათაც არ მომსვლია ეს და ვერც დავეხმარები იმ პირს, რომელსაც თქვენი თქმით განუზრახავს ასეთი ცნობების შეკრებას. სირცხვილი თქვენი რომ ასეთი ტალახის სროლით აპირებთ მოწინააღმდეგის პიროვნების შელახვას ამით ვსპობ დღეიდან უოგვედივე კამათს.

**ვასო ლაშქარაშვილი**

**„მომავალის“ ფოსტა:**

—

**ქუთაისში** მთავრიშვილს თქვენგან გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს. გამოგზავნეთ იმ ადრესით რომელიც გაზეთშია ნაჩვენები.

რედაქტორ-გამომცემელი

**ნ. მელიქ-შახნაზარიანცი**


## განცხადებანი

# თფილისის ქალაქის გამგეობა

აცნობებს ტრაქტირთა საწარმოვო დარგის პატრონთ, რომ თანახმათ ტრაქტირთა წარმოების დებულების 34, 35 და 36 მუხლებისა ქალაქის სასარგებლოთ სატრაქტირო გადასახადის გამწერი კომისიის არჩევნები მომავალი 1910 წლისათვის დანიშნულია:

ტრაქტირებიდან 26 სექტემბერს.

დუქნებიდან — 26 სექტ.

ლუდხანებიდან („პივნო“) 26 სექ.

მაგარ სასმელების სარდაფებიდან 26.

ყავახანებიდან და საჩაიებიდან, სადაც საუზმე და სხვა საჭმელებიც იყიდება 26 სექტემბერს.

სანოვაგის დუქნებიდან 26 სექტ.

სოფლელთა გასაჩერებელ (ПОСТОЯЛЫЙ) ეზოებიდან 26 სექტემბრიდან.

ღვინის სარდაფებიდან 27 სექტემბერს.

ხსენებულ დაწესებულებათა პატრონები მოწვეულნი არიან ქალაქას გამგეობის დარბაზში ზემო აღნიშულ დღეებში შუადღის 12 საათზე.

გამგეობის წევრი **ა. არღუთინსკი.**
საქმის მწარმოებელი **სურგუნოვა.**

(3—6—1)

ექიმმა
## პ. არდაზიანმა
**განაახლა ავათმყოფების მიღება.**
მე-2 თუმანოვის ქუჩა № 28—ავჭალის პლოშჩადის კუთხე № 13 ნემეცების სასაფლაოს ახლო. დილის 9—12 საათ. საღამოთი 5—7 ს. (0—თ—16)

კბილის ექიმ
**ს. ნ. მაცროსოვიჩ-სანოვიჩი.**
დაპლომბის გაკეთება, ამოღება, ექიმობა და ხელოვნური კბილების ჩაყენება „პლასტინკით“ და „უპლასტინკოთ“ სამკურნალოების ფასებში. მიღება ყოველდღე დილის 10—12 ს. და საღამოს 5—7 ს. ვერის დაღმართი № 21 50—25

# პროვოდნიკის
## ამხანაგობა რიგაში
1888
1908 წ.
### საფაბრიკო საწყობის განყოფილება ამიერ-კავკასიისთვის
### თფილისში სოლოლაკის ქუჩა, № 4.
**იყიდება ნარდათ და ცალობით**
დარეზინებული წყალგაუვალი ზედა ტანისამოსი სულ ახალი საზღვარგარეთულ ფასონების საუკეთესო ინგლისურ მატერიისა სულ იაფ ფასამდე.
დარეზინებული წამოსასხამები და პალტოები ბ-ნთ აფიცრებისათვის.
დარეზინებული მატერია სხვადასხვა მიზნისათვის.
რეზინის ღრუბლი.
№ 4. სავარცხლები რქის რეზინისაგან.
**ცალობით ვაჭრობა დღეამიჩაზე საუკეთესო**
№ 2. გალოშების „პროვოდნიკისა“
(24—5.—43).